ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 45

30 სექტემბერი, 2020 წელი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის
გამზ. #105

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა.

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ კულტურისა და ხელოვნების სფეროს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ანდრია ჩასილაია

ზურაბ ჩიკვილაძე

ლევან ჯაფარიძე

ნატო მეტონიძე

ლიზა ბაგრატიონი

ნიკო ლეკიშვილი

ელდარ შენგელაია

თინათინ ნიბლოშვილმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი ერთი საკითხი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიატივით, ჩუღურეთის რაიონში, არტოს ბაღს ვანიჭებთ გია ყანჩელის სახელს. ეს ინიციატივა დაახლოებით ერთი წლის წინ გააჟღერა კომისიამ. მას შემდეგ კომისიამ გაიარა სახელდებასთან დაკავშირებული პროცედურები. გეოგრაფიული ობიექტის შერჩევისას გათვალისწინებული იქნა ის, რომ გია ყანჩელის ცხოვრების გარკვეული ეტაპი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ კონკრეტულ ტერიტორიასთან , ე. წ. „არტოს ბაღთან“, სიტყვა „არტოს“ აბრევიატურა გახლავთ და ითარგმნება, როგორც „არტისტული საზოგადოება“. ამ ბაღში ღია ცის ქვეშ იმართებოდა სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენები, ასევე პოეტები და მწერლები კითხულობდნენ თავიანთ ახალ ლექსებსა თუ წაწარმოებებს, აქვე იმართებოდა სხვადასხვა სიმფონიური კონცერტები, სადაც დასწრება უფასო იყო. როგორც ცნობილია, არტოს ბაღი იყო ადგილი, სადაც უბრალოდ ადამიანებს უყვარდათ ერთმანეთი. დიდი ქართველი კომპოზიტორი გია ყანჩელი ამ უბანში დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრების მნიშვნელოვანი წლების მოგონებები სწორედ ამ მიდამოებთან აკავშირებდა. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, შეირჩა ეს ტერიტორია, ყოველივე ეს გათვალისწინინებული იქნა და ბაღს ენიჭება გია ყანჩელის სახელი.

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ხელოვნების წარმომადგენლები, გია ყანჩელის მეგობრები, მათ ერთსულოვნად მოიწონეს ინიციატივა და მადლობა გადაუხადეს კომისიას გია ყანჩელის ღვაწლის დაფასებისთვის.

აღნიშნულ ინიციატივაზე ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ. მან აღნიშნა, რომ „ჩვენთვის დიდი პატივია ამ ინიციატივის წარმოდგენა, სიმბოლურია სწორედ ის, რომ არტოს ბაღს უნდა ეწოდოს გია ყანჩელის სახელი,

რადგან არტოს ბაღი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და XIX საუკუნიდან აქ დიდი ხელოვანები იკრიბებოდნენ დ უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ შემოქმედებას“.

ასევე ისაუბრა გია ყანჩელის უახლოესმა მეგობარმა, ნიკო ლეკიშვილმა. მან აღნიშნა რომ გია ყანჩელი აქვე ცხოვრობდა და გაიზარდა. ეს მისი მშობლიური ადგილია. არსებობს ძალიან ბევრი ფოტომასალა, სადაც გია ყანჩელი გადაღებულია ამ ბაღში თავის მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად. ნიკო ლეკიშვილი მიესალმება ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ეს ბაღი ითვლება კულტურის კერად.

სახელდებასთან დაკავშირებით ისაუბრა კინორეჟისორმა ელდარ შენგალაიამ , რომელიც ასევე გია ყანჩელის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და მისი ფილმების [illegible] [illegible] [illegible]